პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი 1925 წ. ჩილიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

(937) 239 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. წომპ. სტრ

## მეთაურთა შემადგენლობის თვით-განვითარების შესახებ.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს შევჩერდეთ ჩვენი ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის თვით განვითარებაზე.

ჩვენი მეთაური წითელი არმიელის უფროსი ამხანაგია, მისი მასწავლებელი და ყოველ მხრივ აღმზრდელია. ის მუდამ იმყოფება წითელ არმიელთა შორის და არის მათი პირ-ვარამის გამზიარებელი და სხ.

რამდენადაც ჩვენი ნაწილის მეთაური კარგათაა მომზადებული და აღჭურვილი სათანადო ცოდნით, იმდენათ უფრო ნაყოფიერი იქნება მისი მუშაობა. მოუმზადებლობის გარეშე კი ის ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს წითელ არმიას. მით უმეტეს ეხლა, როცა წითელ არმიაში სამხედრო და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა სწრაფი ნაბიჯებით მიექანება წინ.

წარსულში ჩვენი დივიზიების ნაწილებში მეთაურთა შემადგენლობა მეცადინეობდა პოლიტ-განყოფილებების მიერ გამოცემული სპეციალური პროგრამებით. ამ პროგრამის მიხედვით მეთაურებთან მეცადინეობას ატარებდენ პოლიტ-განყოფილებისა და თვით ნაწილების მიერ გამოყოფილი პირები.

ასეთ მუშაობას სინამდვილეში არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, რადგან ამას ხელს უშლიდა დროის უქონლობა და სხვა მრავალი მიზეზები. ამ გარემოებას მიექცა ჯეროვანი ყურადღება და მეთაურთა ამ სისტემით მეცადინეობა უარყოფილ იქნა.

ეხლა უკვე გამოცემულია სათანადო ბრძანება ს. ს. რ. კავშირის რევსაბჭოს მიერ № 1515 ით, რომლის თანახმად ყველა მეთაურებმა, რომელთაც არ გაუთავებიათ სამხედრო ნორმალური სკოლის კურსი და არიან სუსტი მომზადებულები, უნდა მიჰყონ ხელი თვით-განვითარებას, კარგათ უნდა შეისწავლონ სამხედრო ნორმალური სკოლის პირველი წლის სამოსწავლო კურსი და შემდეგ უნდა ჩააბარონ გამოცდები.

მიმდინარე წელს ეს გამოცდები დანიშნული იყო ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, მაგრამ რესპუბლიკის პოლიტ-სამმართველოს მიერ, სათანადო ბრძანებით გამოცდების ეს დრო გადაიდო მომავალი წლის პირველი მარტისათვის.

ერთის მხრით დროის ასეთი გაგრძელება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ ვიცით რომ მეთაურთა შემადგენლობა ძლიერ დატვირთული იყო მუშაობით ამ საბანაკო პერიოდში და ტერ. ნაწილების პირველ შეკრების ჩატარების გამო. ადვილი შესაძლებელია, მეთაურები, ამ მიზეზების გამო არც კი იყვნენ მზად გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოცდების დაწყებამდე ჯერ კიდევ ხანგრძლივი დროა დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ნაწილების მეთაურთა შემადგენლობამ გულმოდგინედ უნდა მოჰკიდოს ხელი ზემოხსენებული პროგრამის გავლას, მის კარგად შეთვისებას და დანიშნულ დროისთვის მომზადოს გამოცდების ჩასაბარებლად.

## ანტირელიგიური პროპაგანდა.

ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოება ჩვენი ჯარის ნაწილებში მოდუნებულია. ზოგიერთ ნაწილში ამ მხრივ თითქმის არაფერი კეთდება.

იწყება მუშაობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ახლოვდება ან ახკომკავშირის შობა, ან აღდგომა. ამ მოვლენას უნდა მოეღოს ბოლო. ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად. წითელმა ყაზარმამ უნდა მოუმზადოს სოფელს გაწვრთნილი პროპაგანდისტები, რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან ამ დარგში საჭირო ცოდნით.

ეს გარემოება გვავალებს ანტირელიგიურ წრეების ხელმძღვანელად გამოვყოთ მომზადებული ამხანაგი და თუ ასეთი არ მოიძებნება ნაწილში, მაშინ საჭიროა მივმართოთ სამოქალაქო ორგანიზაციას.

მუშაობის დროს ჩვენ წავაწყდებით რთულ საკითხს—ანტირელიგიურ პროპაგანდის მეთოდიკას. ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია: როგორ და საიდან დავიწყოთ მუშაობა.

ამისთვის საჭიროა სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა კრებებზე ისმებოდეს ეს საკითხი და იმართებოდეს სჯაბაასი.

ამის ირგვლივ პოლიტგანყოფილებაც მიაწოდებს მასალას ნაწილებს. მხოლოდ საჭიროა, რომ ხელმძღვანელი ფრთხილად მოეკიდოს საქმეს, არ დატვირთოს მსმენელი წითელ-არმიელნი გაუგებარ და ძნელად შესათვისებელ დებულებებით. ყოველი საკითხი, რომელიც დასმული იქნება მეცადინეობაზე, გარჩეულ უნდა იქნეს დაწვრილებით და შესისხლხორცებული მსმენელების მიერ და მხოლოდ მაშინ შეიძლება გადასვლა შემდეგ საკითხზედ.

ხშირად ჩვენი ნაწილების სცენებზედ იდგმება ანტირელიგიური პიესები და იმართება ამავე ხასიათის ინსცენიროვკები. უნდა ითქვას, რომ ჩვენ რეპერტუარში არ მოიძებნება არც ერთი ცოტად თუ ბევრათ მისაღები პიესა და ინსცენიროვკა, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდეს ანტირელიგიურ პროპაგანდისთვის. ამ პიესების დადგმით ჩვენ ვიღებთ მხოლოდ უარყოფით შედეგებს. ამისთანა პიესების დადგმებს უნდა ვერიდოთ. რუსულ ენაზე მოიპოვება ანტირელიგიური კარგი პიესები, რომელნიც ახლო ხანში გადაითარგმებიან ქართულად და დაიგზავნებიან ნაწილებში.

აგრეთვე საჭიროა მიექცეს ყურადღება „ურწმუნოთა კუთხეს“. ამ კუთხეებში ხშირად შევხვდებით მარტო ულამაზო კარიკატურებს მღვდელ-დიაკვნებზედ და სხვა არაფერს. ეს დაუშვებელია. სასურველია სრულიად არ არსებობდეს ამისთანა „კუთხე“. კუთხეში უნდა იქნეს თავმოყრილი შედეგი წრეში განვლილ მუშაობის, ის მასალა, რომელიც დაამუშავა წითელ-არმიელმა. კუთხე უნდა ატარებდეს მეცნიერულ ხასიათს, რომ წითელ-არმიელმა იქიდან გამოიტანოს სასარგებლო რამ.

დ. ხუციშვილი.

# ახალი რადიო-ამბები

## კაპიტალისტების ფრონტი კომუნისტების წინააღმდეგ.

### ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების საქმე.

**გასამართლება განუსაზღვრელ დროით გადაიდო.**

ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების გასამართლება გადაიდო განუსაზღვრელი დროით. ამის მიზეზი ისაა, რომ წერილები, რომლებიც ძირითად საბრალმდებლო საბუთად ითვლება, დაწერილი უნდა იყოს (კომისიის ეჭვით) სოციალ-დემოკრატ შტეგლიკის და არა კომუნისტ ილეკის ხელით. ამიტომ სასამართლოს მუშაობა გადაიდო იმიტომ რათა, არჩევნების წინ სახელი არ გასტეხოდათ ჩეხო-სლოვაკიის გამოჩენილ ხელმძღვანელებს.

### პოლონეთის პოლიციის მუშაობა.

პოლონეთის პოლიცია შეუდგა მუშათა ორგანიზაციების განადგურებას პოლონეთის განაპირა ქვეყნებში. სწარმოებს მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. პატიმართა რიცხვი რამოდენიმე ასეულს უდრის. კომუნისტებს გარდა დაპატიმრებულია უპარტიო ბელორუსებიც. ებრაელების მუშათა ორგანიზაცია განადგურებულია. ორგანიზაციის მეთაურები ერთიანად დააპატიმრეს. გროდნოში დააპატიმრეს 200 ბელორუსი გლეხი. დააპატიმრეს აგრეთვე მრავალი პროფკავშირის მუშაკები და ებრაელები. ებრაელი დეპუტატებმა მიმართეს სეიმში მოთხოვნილებით, ნუ აწამებენ პატიმრებს და ჩქარა ჩაატარონ გამოძიება.

### საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

გაიხსნა სრულიად საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომუნისტ სემარმა.

სემარის სიტყვის გარშემო გამართულ კამათის შემდეგ სამხედრო ტანისამოსში გამოდის დელეგატი ჯარისკაცთაგან, რომელიც ესალმება მესამე ინტერნაციონალს და სთხოვს კომპარტიას დახმარება გაუწიონ მუშა—ახალწვეულებს.

### გერმანელ ფაშისტების პროვოკაცია.

შეტაკება წითელ ფრონტელებთან.

გერმანელ ომის მონაწილეთა ეროვნულ გაერთიანებამ გამართა ლეიპციგში (გერმანიაში) აღლუმი. ფაშისტების პროვოკაციის წყალობით მოხდა შეტაკება. ფრონტელების წითელ კავშირთან. დაიჭრა 8 მუშა.

კომპარტიამ აღლუმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოაწყო 4 მიტინგი, რომლებსაც დაესწრო დიდძალი მუშა.

## ჩინეთის ამბები.

### ჩან-ძო-ლინი სასტიკ ზომებს მიმართავს.

ჩან—ძო—ლინი სასტიკ ზომებს ხმარობს იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ბოიკოტს უცხადებდენ უცხოეთის საქონლებს, როცა სვატოუ იმყოფებოდა კანტონის მთავრობის ხელში.

უკანასკნელ დღეებში ჩან—ძო—ლინის განკარგულებით სიკვდილით დასჯილ იქნა მრავალი მუშა, და აგრეთვე სვატოუს ყოფილი ქალაქის თავი.

### ნორვეგიის გემების დაკავება სვატოუს ნავთსადგურში.

ჩან—ძო—ლინმა სვატოუში (ჩინეთში) დააკავა ნორვეგიის ორი გემი. ამის გამო ნორვეგიის რწმუნებულმა გაუგზავნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ორი საპროტესტო ნოტა, მაგრამ გემები მაინც არ გაათავისუფლეს.

### მონღოლეთის ქალთა კონფერენცია.

მონღოლეთში გაიხსნა უპარტიო ქალთა პირველი კონფერენცია. მონაწილეობს 140 კაცი.

კონფერენციამ გაუგზავნა კომინტერნის ქალთა სამდივნოს მისალმების დეპეშა.

## საბჭოთა კავშირში

### საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა გასული წლის განმავლობაში გამოიხატა ერთი მილიარდ 140 მილიონ 233 ათას მანეთში. ევროპის საზღვარზე გატანილ იქნა 506 მილიონი 925 ათასი მანეთის საქონელი.

აზიის საზღვარზე გატანილ იქნა 50 მილიონი მანეთის საქონელი.

საერთოდ მთელი წლის განმავლობაში გატანილია 550—560 მილიონი მანეთის საქონელი,

შემოტანილ იქნა საბჭოთა კავშირში სულ 690—700 მილიონი მანეთის საქონელი.

# გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი

19 ოქტომბერს, ტფილისში, საღამოს 7 საათზე სასახლეში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი, სამაზრო კომიტეტების მდივნების მონაწილეობით. დღის წესრიგის მთავარი საკითხებია შემდეგი; 1) მოხსენება რ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის შესახებ; 2) საქ. პროფსაბჭოს კომფრაქციის მოხსენება; 3) საბჭოთა ყრილობა; 4) პარტიული ყრილობა; 5) ბიუჯეტი.

# გლეხების მოწვევა ოქტომბრის დღესასწაულზე.

ოქტომბრის დღესასწაულზე ლენინგრადში მოწვეულია ჩრდილო-დასავლეთ ოლქის შორეულ სოფლებიდან 300 გლეხი, რომლებიც არას დროს არ ყოფილან ლენინგრადში.

# მფლანგველთა გასამართლება.

დამთავრდა გასამართლება კალუგის კოოპერატორების, რომლებსაც ბრალს სდებენ ფლანგვაში, ტაცებასა და ყალბი საბუთების შედგენაში.

მთავარი ბრალდებულებსა და საწყობის გამგეს მიუსაჯეს დახვრეტა, გამგეობის ბუღალტერს მიუსაჯეს 7 წლის ციხე.

# ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ურალში.

18 ოქტომბერს სვერდლოვსკში ჩამოვიდა ჩეხო—სლოვაკიის მუშათა დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციამ დაათვალიერა ურალის სამრეწველო ცენტრების მთელი რიგი—ლისევში, კიზელში, ტაგილში და ჩუსოვში.

# ზამთრის სეზონის მოლოდინში

ქართულ დივიზიის კლუბი, რაღაც გამოუვალ რკალებში მოექცა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა სკოლის გარეშე მუშაობის ერთი ფორმის—საკლუბო მუშაობის ორგანიზაციული ჩამოყალიბება. არ ვიცით რას მივაწეროთ ეს გარემოება, უინიციატივობას თუ უყურადღებობას! რამდენი ხანია, მას შემდეგ რაც ეს კლუბი არსებობს და იქ წარმოებული მუშაობა კი ჩვენ არ გვინახავს. არის მხოლოდ ერთადერთი წარწერა, შესავალ კარებთან: „ქართ. მსრ. დივიზიის ცენტრალური კლუბი“. შიგ კი მთელი სიცარიელე..... განა, ეს დასაშვებია, მიზანშეწონილია??? არა. მაგრამ საქმის გამოსწორებისადმი ლტოლვას ვერც ეხლა ვხედავთ.

მთელი ზაფხულის განმავლობაში კლუბი ჩაჩუმებული იყო, არაფერს აკეთებდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ექიმების ერთ კონფერენციას!) გვქონდა იმედი, ბანაკიდან ჯარის ნაწილების დაბრუნებისას კლუბი, ახალ ცხოვრებას მოჰკიდებდა ხელს, უარყოფდა ძველს, ჩვეულ სიზანტეს და მუშაობის ახალ ხაზს აიღებდა, მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს იმედი გაგვიმართლდა. თუ შარშან „მოხერხებული ექსპლოატაცია“, ვერ მოხერხდა მისი, წელს ზამთარში კი დარდო „ხელშეკრულება“ პროლეტკულტთან, რომელმაც თუმცა ფულით უზრუნველყო კლუბი, მაგრამ იდეური მუშაობა კი შენელდა. ჩვენი ქართული ნაწილების წითელ ლაშქრელებს და უფროსმემადგენლობას სამსახურიდან თავისუფალ საათებში უნდა ჰქონდეთ ცენტრალური კლუბი, სადაც მათ საშუალება ექნებათ თავისი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების, კომუნისტურ აღზრდის მიღებისა; ცენტრალურ კლუბში უნდა მივცეთ ჩვენ წითელ ლაშქრელებს და უფროსმემადგენლობას სათანადო დადგმები, რომელნიც მათ დაინტერესებს და ცოდნის მიღებასთან ერთად კომუნისტური ზნეობასაც ჩაუნერგავს, თორემ როგორც ეხლა ჩვენი ზოგიერთი მეთაურები რუსთაველის პროსპექტს ტკეპნიან საღამოთი, ვერაფერს ვერ შეიძენენ, გარდა ცუდი მხარეებისა.

რას ვაპირობთ ზამთრის სეზონში? რას ფიქრობს ამის შესახებ ქართ. დივიზიის ცენტრალური კლუბი?

**დაგო.**

# სამხედრო საქმე

**საჭიროა თუ არა ასეულისათვის რეზერვი მისი მოგერიებისათვის დალაგების დროს *).**

ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი წამოაყენა ამხ. პიჩუგოვმა ჟურნალ „ვისტრელის“ მე-7 ნომერში, რომელიც ეხება ასეულის დალაგებას მოგერიებისათვის. დაახლოებით მისი წერილის შინაარსი შემდეგია: არსებობს სხვა და სხვა აზრი ასეულის დალაგების ირგვლივ, რომლებიც ხშირათ აზრთა უთანხმოებას იწვევს სამხედრო თამაშობის დროს მონაწილეთა შორის. ერთნი ამბობენ ასეულის მოგერიებისათვის დალაგების დროს ასეულისათვის სრულებით არ არის საჭირო რეზერვი, მას სავსებით შეუძლია ისარგებლოს ათასეულის რეზერვით, როდესაც ეს მისთვის აუცილებელი იქნება; მეორენი კი იცავენ სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახურში“ მოყვანილ დებულებას და ამტკიცებენ, რომ ტალის ზოლში მოთავსებულ ოცეულს ბრძოლის შემდეგ შეუძლია უკან დაიხიოს და ასეულის რეზერვათ გამოდგეს, ვინაიდან ოცეულს კიდევ შერჩება ბრძოლის უნარიო; მესამენი კიდევ ამტკიცებენ, რომ სრულებით არ არის საჭირო ტალის ზოლში გაგზავნილი იქმნას ერთი ოცეული, ვინაიდან ის უკვე უკან დახევის შემდეგ კარგავს ბრძოლის უნარიანობასო; თანამედროვე ბრძოლის საშუალებების პირობებში ასეულისათვის აუცილებელი საჭიროა რეზერვი, ვინაიდან უკანასკნელ სამოქალაქო ბრძოლებმა დაგვარწმუნა, რომ ასეულს არ შეუძლია შექმნას მთლიანი კედარო და მაშასადამე ასეთი ადგილების შესავსებათ საჭირო შემთხვევებში მისთვის აუცილებელია რეზერვიო. უკანასკნელ აზრს იცავს ამხ. პიჩუგოვიც. საკითხი სწორეთ თანამედროვეა და ღირსია იმისა, რომ შეძლებისდაგვარათ გამოვსთქვათ ჩვენ ჩვენი აზრი დასმულ კითხვაზე.

უკანასკნელ საკარვოთ ყოფნის დროს, ტაქტიკურ მეცადინეობის დროს მე სრულებით სხვა შთაბეჭდილება მივიღე და შესაფერი დასკვნაც გამოვიტანე, რომელიც მინდა მკითხველებს გავაცნო, მხოლოდ იმ პირობით რომ სხვებიც გამოეხმაურება ამ წერილს დისკუსიის სახით.

მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში პირველნი უფრო მართალნი არიან იმ პირობით, თუ კი რომ ისინი ამხ. პიჩუგოვს დაეთანხმებიან იმაშიც, რომ სრულებით საჭირო არ არის ტალის ზოლში ასეულის მეთაურის განკარგულებით ოცეულის გაგზავნა, რომელიც ვითომც და შემდეგში ასეულის რეზერვს შეადგენს.

თანახმად „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახურისა“ ასეული გამოყოფს რეზერვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის განცალკევებული მოქმედობს, მაგრამ ათასეულის შემადგენლობაში მოქმედობის დროს ტალის ზოლში ოცეულის გამოყოფა და შემდეგში მისი რეზერვათ გამოყენება, ჩემის აზრით, მიუღებელია და ვინც ამ უკანასკნელ ომის დროს კედაროზე ყოფილა, ვფიქრობ, რომ მე ამაზე დამეთანხმება.

სავსებით სამართლიანათ აღნიშნავს ამხ. პიჩუგოვი ტალასზოლში ოცეულის გაგზავნის და შემდეგში მისი რეზერვათ გამოყენების შეუფერებლობას. აბა მართლაც თქვენ წარმოიდგინეთ ოცეული, რომელიც ზოლში იყო მოთავსებული დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, სათანადო ასეულის მეთაურის ბრძანების თანახმათ უკან იხევს დღევანდელ ასეთ განვითარებულ საბრძოლო საშვალებების პირობებში. თქვენ წარმოდგენილი უნდა გქონდეთ, რომ ოცეულის მეთაური მხოლოდ მაშინ მიიღებს დახევის ნებართვას, როდესაც ის დაინახავს, რომ ოცეულმა თავისი ამოცანა შეასრულა და მისი იქ დარჩენა შეუძლებელია, ვინაიდან მტერი მას გაჭირვებაში აყენებს და მოსალოდნელია მისი სრულებით დაკარგვა. მაშასადამე ამდენი ხნის ბრძოლის შემდეგ ის იხევს უკან, მოპირდაპირის ცეცხლის ქვეშ, და არამც თუ მოპირდაპირის, არამედ თავიანთ ასეულის ცეცხლის ქვეშაც კი (ის ხომ ასეულის კედაროზე იყო მოთავსებული).

მე ვფიქრობ რომ ასეთ პირობებში უკან დახეული ოცეული იმდენად დაეცემა, როგორც სულიერათ ისე ფიზიკურათ, რომ მისი რეზერვათ გამოყენება მხოლოდ ოცნებაა და მეტი არაფერი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე რომ ოცეული არამც თუ მძიმე ტყვიამფრქვევს ვერ წაიღებს უკან, არამედ მსუბუქი ტყვიამფრქვევის წაღებაც კი მეტათ გაუძნელდებათ.

(დასასრული იქნება).

**მ. გობრონიძე.**

*) სადისკუსიო.

# ამონაწერი

## საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანებიდან №208 1925 წ. 19 თებერვლიდან.

## დებულება

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლების სამხედრო-სამეცნიერო მომუშავეთა შესახებ.

### III სამხედრო-სამეცნიერო მომუშავეთა მიერ სამსახურის თანამდებობის დაკავების წესი.

#### ა. ადიუნკტების შესახებ.

13. უმაღლეს სამხედრო განათლებით აღჭურვილ პირთა მომზადების მიზნით, რათა მათ მიერ დაკავებულ იქნას მასწავლებელთა და პროფესორთა თანამდებობანი, თვითეულ სამხედრო აკადემიასთან იმყოფებიან ადიუნკტები. ადიუნკტების რიცხვი განისაზღვრება აკადემიის შტატით.

14. ადიუნკტები წამოყენებულ იქნებიან იმ პირთაგან, რომელთაც: ა) დაუმთავრებიათ სამხედრო აკადემია და განსაკუთრებით თავი გამოუჩენიათ სამეცნიერო მუშაობით აკადემიის კურსის გავლისა და წითელ არმიასა და ფლოტში სამსახურის განმავლობაში; იმ პირთაგან—რომელთაც აკადემიის დამთავრების შემდეგ უმსახურია არმიასა და ფლოტში არა ნაკლები ორი წლისა და ბ) მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობისაგან, რომელთაც უმსახურიათ განუწყვეტლივ სამხედრო სამსახურში არა ნაკლები 4 წლისა და რომლებიც აკმაყოფილებენ ამა დებულების მოთხოვნილებებს.

შენიშვნა: 1. იმ პირთ, რომელთაც აქვთ საბრძოლო ან საწყობრო სტაჟი სამოქალაქო ომის პერიოდიდან და რომელთაც წარმატებით გაუთავებიათ აკადემია და თავი გამოუჩენიათ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობაში, წითელ არმიასა ან ფლოტში სამსახურის ვადა შეიძლება შეუმოკლდეთ ერთ წლამდი, რაც განისაზღვრება აკადემიის უფროსის შუამდგომლობით მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომზადების საბჭოს წინაშე და მტკიცდება უმაღლეს საატესტაციო კომისიის მიერ.

შენიშვნა მე 2. სპეციალურ აკადემიებში ადიუნკტის თანამდებობაზე შეიძლება მიწვეულ იქნან აგრეთვე ისეთი პირებიც, რომლებიც არ ითვლებიან სამხედრო სამსახურში, მაგრამ თავი გამოუჩენიათ, როგორც ნიჭიერ მომუშავეებს იმ დარგში, რომელიც შეადგენს მოცემულ აკადემიის სპეციალობას. ასეთ პირთა დანიშვნა ყოველთვის სწარმოებს აკადემიის უფროსის განსაკუთრებული შუამდგომლობით მუშურ-გლეხური წითელი არმის მომზადების საბჭოს წინაშე და უმაღლეს საატესტაციო კომისიის დამტკიცებით.

15. კანდიდატები, წამოყენებულნი ადიუნკტების თანამდებობისთვის მოსამზადებლად იმ პირთაგან, რომელთაც დაუმთავრებიათ ესა თუ ის აკადემია, ამა დებულების მე-14 მუხლის თანახმად, განიხილებიან მუშურ გლეხური წითელი არმიის მომზადების საბჭოს მიერ და მტკიცდება უმაღლეს საატესტაციო კომისიის მიერ.

16. ადიუნკტების თანამდებობისთვის მოსამზადებლად წამოყენებული კანდიდატები იმ პირთაგან, რომელთაც არ დაუმთავრებიათ აკადემია, ტარდებიან აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომზადების საბჭოში, სადაც წარადგენენ თავიანთ სამეცნიერო შრომას, თუ ასეთი მოეპოვებათ, და მტკიცდებიან უმაღლეს საატესტაციო კომისიის მიერ.

შენიშვნა: კანდიდატის წამომყენებელი პირები, თანახმად მე-16 მუხლისა, ვალდებული არიან, გარდა სამსახურის ატესტაციისა წარადგინონ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომზადების საბჭოში დაწვრილებითი დახასიათება მისი (კანდიდატის) სამეცნიერო შრომათა ან მასალების აღნიშვნით, რომლებიც ახასიათებენ მის ნიჭს.

17. უმაღლეს საატესტაციო კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ, კანდიდატები ინიშნებიან სათანადო აკადემიის ადიუნკტის თანამდებობაზე, რაც გამოცხადებულ იქნება საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანებაში პირად შემადგენლობის შესახებ.

18. ადიუნკტის წოდება მატარებელნი ატარებენ ამ წოდებას 2 წლის განმავლობაში. ამ ხნის ვადაში მათ უნდა შეასრულონ განსაკუთრებული სამეცნიერო მუშაობანი, რომლებსაც აწესებს ამა დებულების მე-19 მუხლი.

შენიშვნა: სპეციალურ აკადემიების ადიუნკტები წარმოებებთან დაკავშირებულ კათედრებზე ინიშნებიან იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ არა ნაკლები ერთი წლის საწარმოო სტაჟისა (ქარხანა, ტეხნიკური ბიურო, მიმღები კომისიები და სხვა). სხვა სპეციალობის ადიუნკტები იმსახურებენ სათანადო პრაქტიკულ სტაჟს საზაფხულო მივლენათა გზით ადიუნკტის წოდებაზე ყოფნის დროს, რისთვისაც ვადა ადიუნკტის თანამდებობაზე ყოფნისა შეიძლება გაგრძელებულ იქნას აკადემიის უფროსის მიერ კიდევ ექვსი თვით.

19. აკადემიაში ყოფნის განმავლობაში ადიუნკტები ასრულებენ სამეცნიერო მუშაობას ქვემოაღნიშნულ წესით, რის შემდეგ ღებულობენ აკადემიის მასწავლებლის წოდებას და შეიძლება დამტკიცებულ იქნან აკადემიის მასწავლებელთა თანამდებობაზე.

20. ეს მუშაობანი (მუხლი მე-19) მდგომარეობს სამხედრო-სამეცნიერო შრომის დამუშავებაში იმ თემაზე, რომელსაც ამოირჩევს თვით ადიუნკტი მის მიერ ამორჩეულ სპეციალობის დარგიდან ამა თუ იმ კათედრაზე.

21. ამორჩეული თემა, სათანადო კათედრის ხელმძღვანელის მიერ მოწონების შემდეგ, მტკიცდება აკადემიის უფროსის მიერ და ცხადდება აკადემიისადმი ბრძანებაში.

22. ადიუნკტის მიერ თემის დამუშავება სწარმოებს დამოუკიდებლად, მაგრამ მუშაობას საერთო მეთვალყურეობას უწევს კათედრის უფროსი ხელმძღვანელი ან სათანადო ციკლის მთავარი ხელმძღვანელი აკადემიის უფროსის დანიშვნით.

(დასასრული შემდეგ №-ში).

# ჩვენი ნაწილების საზამთრო მუშაობა.

## მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.

ტერარმიელების გრძელვადიან შვებულებაში გაშვების შემდეგ, ჩვენი ათასეულის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა დაუბრუნდა ოთხი თვის განმავლობაში დროებით მიტოვებულ საცხოვრებელ ბინებს. სამუშაო ბევრი იყო.

საჭირო იყო შენობების ხელახალი შეკეთება, სამკითხველოს, ლენინისა და სხვა კუთხეების მოწყობა და სხვა, რასაც დიდი მუშაობა დასჭირდა. ამ ჟამად მუშაობა თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

მთავარი ყურადღება ათასეულში მიქცეული აქვს ლენინის კუთხეს, რადგან ჩქარა მოგვიხდება ასაულების გაშლა წერტებზე და საჭირო არის ათასეულის ლენკუთხის გამოცდილებები გამოიყენონ ასეულების კუთხეებში.

ცოტა ვერ არის კარგად სამკითხველოების საქმე, რადგან რაც ძველი წიგნები გვქონდა გადავეცით ლეგიონის ბიბლიოთეკას და ახლები ჯერ კი არ მიგვიღია. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა მესვეურებმა და დროზე მოგვაწოდონ წიგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოგვეპოვება სახელმძღვანელო მასალები, და შეიძლება ძლიერ ჩამოვრჩეთ მეცადინეობას.

კარგი იქნება აგრეთვე, რომ კლუბის გამგეობა გადასდებდეს ათასეულის სკოლის გარეშე მუშაობის საწარმოებლად შესაფერ თანხებს, თორემ აქაც მოსალოდნელია საქმის შეფერხება.

სხვა მხრივ ათასეულის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მეცადინეობა ნორმალურ კალაპოტში ჩასდგა 19 ოქტომბრიდან და სისტემატიურად მიმდინარეობს, როგორც სამხედრო დარგში, ისე პოლიტიკურშიდაც.

სამხკორი დ. პ.

## 5-ТЭ ლეგ. 3-მე ასეულის გამგზავრება თავის წერტში

7 ოქტომბერს ჩვენი ლეგიონის 3-მე ასეული გაემგზავრა თვის წერტში № ქალაქში გამგზავრების წინ ლეგიონის მეთაური მოგვესალმა და გვისურვა ნაყოფიერი მუშაობა.

მგზავრობის დროს ყველგან დიდი აღფრთოვანებით გვხვდებოდენ ადგილობრივი ხელისუფალნი. ღამის გასათევი ბინით, სასმელ-საჭმლით და ყველაფერი საჭირო საგნებით ფიცხლად გვაკმაყოფილებდენ. მიუახლოვდით თუ არა ჩვენს წერტს, ადგილობრივი ამხანაგები მუსიკით შამოგვეგებენ წინ და გვიმართა მისასალმებელი სიტყვებით გამოსვლა.

ბლმასკომმა გაგვიმართა სადილი, დ გვირიგეს თამბაქო და ქაღალდები, რის შემდეგ ახალწვეულებთან ერთად გაიმართა საზეიმო მიტინგი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და პარტკომის წარმომადგენლები. მოგვესალმენ აგრეთვე ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციებიდანაც. შემდეგ გამოვიდენ წითელ არმიელები და მოწოდებით მიმართეს ახალწვეულებს გაეშურონ წითელი ყაზარმისაკენ, შეიძინონ საჭირო ცოდნა და სხვა.

წითელ არმიელების ასეთმა გამოსვლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ ხალხსა და ახალწვეულებზე.

სამჩკორი ერთგული.

## ჩვენი გუნდის საქმიანობიდან.

4-ხე ლეგ. საკავშირო გუნდი.

ჩვენი გუნდი უკვე დაბინავდა საზამთრო ყაზარმებში და შეუდგა სპეციალურ სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას. გუნდში გულმოდგინეთ სწარმოებს მანევრების დროს ნახმარ კაბელების (მავთულების) გასინჯვა, აპარატების წმენდა და სხვა.

გუნდის წითელ არმიელებმა გამოუშვეს ყოველ თვიური კედლის გაზეთი „წითელი კავშირის" სახელწოდებით. ამას გარდა დიდი სამზადისია გუნდში 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულების შესახვედრად. ასუფთავებენ ყაზარმას, აწყობენ ლენინის კუთხეს და სხვა.

იმ დროისთვის განზრახულია კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება, სადაც გაშუქებული იქნება წითელი ყაზარმის მნიშვნელობა და წითელი არმიისა და არმიელის დანიშნულება.

სამხკორი ლექსო.

## ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან.

მე-6 ლეგიონი.

ლეგიონის სკოლაში დაიწყო მეცადინეობა 25 მაისიდან, რომელიც დღემდე ენერგიულად ასრულებს თავის დავალებას. ხსენებულ სკოლაში, უნცროს მეთაურების ხარისხის მისაღებად გადმოგზავნილი ვიქენით ოს ამხანაგების

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### ველარ ვმეცადინეობთ.

მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდი.

ჩვენი გუნდის წ. არმიელები ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად ველარ ვისმენთ პოლიტსაათებს და ველარც სხვა რამეში ვმეცადინეობთ. სკოლაში მოხდა შტატების შემცირება და დათხოვნილი იქნენ სკოლის დამგველი და სასადილოში მოსამსახურე ქალები. მათი საქმე ეხლა ჩვენ დაგვეკისრა. იატაკის დგვა, წმენდა სადილზე სამსახური, ჭურჭლების რეცხვა და სხვა ჩვენ გვაწევს თავზე. სხვას ველარაფერს ვაკეთებთ. თუ ასე გაგრძელდა რაც ვიცოდით ისიც დაგვავიწყდება. საჭიროა მოგვექცეს ყურადღება.

წ. არმ. გომახურელი.

### გამოასწორეთ ნაკლი.

1-ლი არტლეგიონის მესამე ბატარეია.

ჩვენი ბატარეიის ლენინის კუთხე ყოველმხრივ კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს, რაც აუცილებლად მოითხოვს გამოსწორებას. კუთხეში არა გვაქვს უცხო სიტყვების ახსნა-განმარტების მიმცემი ყუთი და არც ცნობათა ყუთი. სხვა ნაწილებში ასეთი მოიპოვება. საჭიროა ჩვენთანაც მოეწყოს ისინი.

წ. არმ. ლეო ფარ—ბელი.

### მოგვეცით სასადილო.

2-რე არტლეგიონი.

კარგა ხანია ლეგიონში არა გვაქვს წითელ არმიელთა სასადილო. სადილის ჭამა ყოველთვის გარედ-ეზოში გვიხდება, რაც ხშირად შეუძლებელია ქარების გამო. ამას გარდა აუარება ღორები იყრის თავს ლეგიონის ეზოში და პირდაპირ შეუძლებელი ხდება დამშვიდებით სადილობა. დროა მოგვცენ ერთი სასადილო ოთახი თორემ ზამთარიც კარზე გვადგია და შემდეგ კი გვიან იქნება.

წ. არმ. მტრედი.

### საჭიროა ქართული ჟურნალ-გაზეთები.

თბილისის სამხედრო ჰოსპიტალი.

ჩვენს საავადმყოფოში არ არის ქართული ჟურნალ-გაზეთები. ქართველი წითელ არმიელები კი ბლომად არიან საავადმყოფოში და არც ერთმა მათგანმა არ იცის რუსული. ერთხანს მოდიოდა გაზ. „წითელი არმიელი" მაგრამ შემდეგ მისი მოტანაც შესწყვიტეს. ქართული გაზეთები აქაც საჭიროა და ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას.

ავადმყოფი არმ. იმერელი.

### თავის ვალდებულებას არ ასრულებენ.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონს დაქირავებული ყავს რამოდენიმე ტანისამოსის მკერავები, რომლებსაც ევალებათ წითელ არმიელთა ტანსაცმელის დაკერვაც. მიუხედავად ამისა ეს ამხანაგები არ ასრულებენ ამ ვალდებულებას. მივიტანთ წითელ არმიელები დასაკერავად ტანსაცმელს, ისინიც შეგვპირდებიან ხვალ იქნება მზადო, მაგრამ კვირაობით გვიხდება სიარული და არ გვიკეთებენ. ისინი ყოველთვის კერძო ხალხის შეკვეთებით არიან დაკავებული. თუ ჩვენთვის არიან ისინი მოყვანილი ნაწილში, ჩვენი საქმეები უნდა აკეთონ თუ არა და საჭირონიც არ არიან. მიაქციეთ ყურადღება.

წ. არმ. გ. ი—ძე.

11 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. პირველ ხანებში ძლიერ გვიჭირდა სწავლა, რადგან ქართული კარგად არ ვიცოდით.

სკოლაც მოუწყობელი იყო პირველ ხანებში და ამიტომ ვერ გვექცეოდა სათანადო ყურადღება, მაგრამ როდესაც გამოკეთდა სკოლის მდგომარეობა, ჩვენც დაგვინიშნეს მასწავლებელი, რომელიც ოსურად გვასწავლიდა. ამის შემდეგ სკოლის უფროსმა დიდი ყურადღება მოგვაქცია, რის შედეგადაც მივიღეთ ის, რომ მალე შევისწავლეთ წერა-კითხვა, როგორც ოსურად, ისე ქართულად.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მესვეურები და ხელმძღვანელები არც შემდეგში მოგვაკლებენ თავის ყურადღებას და შეგვაძლებინებენ გამოვიდეთ შესაფერი მეთაურები.

კურსანტი ვლ. ძოწოვი.

## 2-რე ლეგიონის თეატრი.

ჩვენი თეატრი ამ უკანასკნელ ხანებამდე ძლიერ ვიწრო იყო და ვერ აკმაყოფილებდა სავსებით ლეგიონის მოთხოვნილებებს. სცენა მეტის-მეტად პატარა იყო. სცენის მოყვარეებს უჭირდათ ზედ მოქმედება. სერიოზული პიესები ვერ იდგმებოდა ამის გამო და ხშირად ჰქონდა ადგილი უკმაყოფილებას.

ამ უკანასკნელ ხანებში მიღებული იქნა ზომები დარბაზის გადასაკეთებლად, რომელიც შესრულებული იქნა. სცენის გადიდება ყოველ წუთს შესაძლებელია სურვილისამებრ. ერთია მხოლოდ: აღარ დაგვრჩა თანხა, რომ შეგვეძინა დეკორაციები. კარგი იქნება, რომ რომელიმე დიდი თეატრის დირექცია შემოგვწირავდეს მისთვის უვარგის დეკორაციებს. ამაზე საჭირო ზომები უნდა მიიღონ ჩვენმა მესვეურებმა.

განზრახულია აგრეთვე დაარსდეს ლეგიონში სხვა და სხვა წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან კულტურულ მუშაობას ახალწვეულების მოსვლისას.

მ. ხევდიშვილი.

## გასამართლება ნაწილში.

მე-2 საარტილერიო ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენს ლეგიონში სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა წითელი მოლაშქრე ყოფილი გადამწერი ტყეშელაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა წითელ არმიელების ფულის შეჭმა. საქმე შემდეგში იყო: ორი წითელ არმიელისათვის მშობლებს გადმოუგზავნიათ (გასულ წელში) ფული. გადამწერ ტყეშელაშვილს მიუღია უწყებები, მოუწერინებია ხელი უფროსისათვის და თვითონვე გამოუტანია. წითელ არმიელებისათვის ეს არ გაუმხელია. საქმე მაშინ გამოირკვა, როდესაც ამხანაგ არმიელებს მოსწერეს მშობლებმა წერილები დაატყობინებდენ ფულის გადმოგზავნის შესახებ.

ტრიბუნალმა ამხ. ტყეშელაშვილს ასეთი ბოროტმოქმედებისათვის მიუსაჯა 1 წლის გამასახლში მოთავსება, მაგრამ ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

გასამართლებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არმიელებზე და განსაკუთრებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ.

ასეთ გასამართლებას ტრიბუნალი თუ ნაწილში მოახდენს ხშირად დიდ შედეგებს მივიღებთ წ. არმიელთა აღზრდის საქმეში.

სამსონიშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

პირველი საკავშირო ასეული

ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ, ასეულის კომკავშირის ჯგუფის ორგანიზატორი შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას. ჯგუფის კრებები ხდება ყოველ თვეში ერთჯერ, რომლებსაც სისტემატიურად ესწრებიან როგორც ყველა ახკომკავშირელთა წევრები, ისე უპარტიო წითელ არმიელებიც. სხვა და სხვა ორგანიზაციებთან განახლებულია კავშირი განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში ვიმყოფებით 4-ხე რაიონულ კომიტეტის ახკომკავშირთან. ჩვენი ჯგუფის ორგანიზატორი სისტემატიურად ესწრება მათ თათბირებს. პარტიის რიგებისაკენ ლტოლვა დიდია. ნახევარზე მეტი ამხანაგები დამტკიცებული არიან პარტიის კანდიდატებად.

სამხკორი ნინუა კუთხელი.

მეთაურთა სკოლის 3-მე ასეული.

13 ოქტომბერს შესდგა მეთაურთა სკოლის მესამე ასეულის ახ. ლ. კომკავშირის დახურული კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) კომკავშირის მუშაობა ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში, 2) მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ და ახალის არჩევა; 3) კურსანტების მიმაგრება სხვა და სხვა უჯრედებზე და 4) მიმდინარე საკითხება.

პირველი საკითხი კარგად იქნა გაშუქებული ერთი კურსანტის მოხსენებისა და მისი თანამომხსენებელ პოლიტმოძღვრის მიერ. მოხსენებაში გარკვევით იქნა აღნიშნული კავშირის წევრთა რიცხვის თანდათანობითი ზრდა სხვა და სხვა ქვეყნებში. მოხსენებაში საკმაო მასალა იყო მოცემული და საზღვარგარეთ ახალგაზრდობის მოძრაობაზე ფართო წარმოდგენა მოგვცა, რისთვისაც მადლობა გამოეცხადათ ამხანაგებს.

მეორე საკითხზე ბიუროს მდივნის მოხსენებიდან მუშაობის შესახებ გამოირკვა, რომ მას (ბიუროს) დამაკმაყოფილებლად უწარმოებია მუშაობა.

სულ მოუწვევია მას ორი გაერთიანებული და ერთი დახურული კრება. ამასთანავე მას სათანადო ყურადღება მიუქცევია კავშირში პარტიულ და სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი კავშირის წევრი უფროსის ნება დაურთველად წასულა შვებულებაში და მეორეს კი თავის ნებით დაუტოვებია კრება. ბიურომ ეს მოახსენა კრებას, რომელმაც სასტიკი განკიცხვა გამოუცხადა მათ და დაადგინა ეს შეტანილ იქნეს მათ პირად საქმეებში. ამის შემდეგ მოხდა კურსანტების მიმაგრება სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა ახ. ლ. კავშირის უჯრედებზე. ბოლოს არჩეული იქნა ბიუროს ახალი შემადგენლობა.

ახკორი რ. ქორი.

# სამხედროთა შენიშვნებიდან

### რას მივაწეროთ?

**1-ლი საკავშირო ასეული**

ერთი წლის სამსახურის შემდეგ ყველა ნაწილებში წითელ არმიელებს ნება ეძლევათ მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლის. ჩვენს ნაწილში ამ კანონს ვერ ასრულებენ წესიერად. არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ჯერ სულ არ ყოფილან შვებულებაში, ხოლო ისეთებიც არიან, რომლებსაც რაღაც მანქანებით სამჯერ უსარგებლიათ შვებულებით. რას მივაწეროთ ეს? საჭიროა დაცული იქნეს კანონიერება ყველა წ. არმიელის მიმართ.

უსამართლობის მტერი.

### რათ არ აქცევენ ყურადღებას?

**1-ლი ლეგ. სამნეო გუნდი**

ხსენებულ გუნდში ტანსაცმელის მკერავის თანამდებობაზე მსახურებს წითელ ამიელი თავდუმაძე, რომელსაც წითელ არმიელების ტანსაცმელის შესაკერავად აქვს დაწესებული ნიხრი. მიუხედავად ამისა ის ორჯერ და სამჯერ მეტს ახდევინებს, ისე სამუშაოს ხელს არ ჰკიდებს. რაღა საჭიროა ამ შემთხვევაში ნიხრის მიცემა? ხოლო თუ ამ ნიხრს ძალა აქვს კიდევაც უნდა სრულდებოდეს. რად არ აქცევს სამნეო ნაწილის უფროსი ამას ყურადღებას?

სამხედრი დ—ი.

### „ბორში“ ცუდია, არც სისუფთავეა დაცული.

**3-მე ლეგ. 1-ლი ასეული**

ასეულში ძლიერ ცუდი ხარისხის „ბორში“ ეძლევა არმიელებს; ნარეცხ წყალსა ჰგავს, არავითარი სისუქნე მასში არ არის. ამას გარდა ასეულის ყაზარმის გარშემო დიდი უსუფთაობაა. სანიტარული კომისია არავითარ ყურადღებას ამას არ აქცევს დღემდე. დროა ბოლო მოეღოს ამ დაუდევრობას.

გო ელი.

# საქ. სახ. კომისართა საბჭოში.

**საუწყებო მილიციის დაარსება.** სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საუწყებო მილიციის დაარსების შესახებ. დადგენილება დასამტკიცებლათ გადაეცა საქ. ცაკს.

**სახკომსაბჭოს დადგენილებით** დაარსდა პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი.

**წერკუმსის წესდება.** დამტკიცდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზ-ბის წესდება.

**სახელმწიფო დროშა.** საერთო სახელმწიფო დროშის საქართველოს ტერიტორიაზე შემოღება მიზანშეწონილათ იქნა ცნობილი.

# ამბები სოფლებიდან.

**კოოპერატივის გახსნა.**

ახალციხის ალმასკომმა დაადგინა გახსნას კოოპერატიული სავაჭრო სოფ. ტაძრისში.

**მდინარის ნაპირების გამაგრება.**

ქუთაისის ალმასკომმა დაამტკიცა მდ. ყუმურის ნაპირების გასამაგრებლათ ხარჯთაღრიცხვა 2.222 მანეთის რაოდენობით.

**გლეხების დასახლება ახალ ადგილზე.**

გორის ილმასკომმა გაგზავნა კომისია სოფ. ქარელში ნიაღვრისაგან დაზარალებულ გლეხების ახალ ადგილზე გადასახლების საკითხის მოსაგვარებლათ.

**ბათომ-ტფილისის გზატკეცილი.**

გორის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ბათომ-ტფილისის გზატკეცილის შასაკეთებლათ გორის მაზრის ტერიტორიაზე ალმოჩინოს სამალმასკომს შესაფერი დახმარება.

**ელექტრო-ტეხნიკუმი ქუთაისში.**

ქუთაისის ალმასკომმა მიზანშეწონილათ სცნო ქუთაისში ელექტრო-ტეხნიკუმის გახსნა.

# ახალი ამბები.

**წითელარმიელთა კლუბის გახსნა.** ამჟამად მიმდინარეობს წითელარმიელთა ცენ. კლუბის საფუძვლიანი შეკეთება, რომლის გახსნაც მოხდება ოქტომბრის დღესასწაულებზე.

— **ქუთაისში განზრახულია** ჩატარდეს წითელი ყაზარმის თვე.

— **წიგნი გლეხკომებზე.** სოც. უზ. სახ. კომისარმა ამხ. კ. ხომერიკმა დასწერა წიგნი, „საუბარი გლეხკომებზე“, რომელიც დაურიგდებათ წითელარმიელებს და გლეხებს.

— **სანიტარული აეროპლანი.** ჯანსახკომის სამხ. სანიტარო ბიუროსთან ეწყობა სანიტარ. აეროპლანის ამგები სექცია.

— **ავიაქიმის ლიტერატურა.** საქ. ავიაქიმმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე ავიაქიმის ლიტერატურის გაიაფების შესახებ.

— **ამხ. ტროცკის** მუშათა ახალშენის გასაშენებლათ ცენტრალ. საალმშ. კომიტეტმა მოსკოვის კომუნალური ბანკიდან გამოითხოვა 500 ათასი მანეთი სესხათ.

— **სანიტ-განათლების გამოფენა.** ტფილ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ავლაბარში მე-3 რაიკომის კლუბში ხსნის სანიტ-განათლების გამოფენას.

— **ავიაქიმის** ვერცხლის ლატარიის გათამაშება მოხდება 25 დეკემბერს.

— **უმუშევრები.** ოქტომბრისათვის ტფილისში აღრიცხული ჰყავდა დამზ. სალაროს 3.304 დაზღვეული უმუშევარი.

— **ამიერ-კავკასიის** პროფკავშირებში ამჟამად გაერთიანებულია 320 ათასი მუშა-მოსამსახურე.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის სახ. კომის. აწყობს პროვინციებში შრომის კოლექტივებს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**რად ეცემა ზევით ასროლილი სხეული ძირს.**

როგორც ამბობენ ყველა სხეულები ერთნაირად განიცდიან დედამიწის მიზიდულობის ძალას. ამ ძალას ეწოდება სიმძიმის ძალა. სწორედ ეს ძალაა, რომ აიძულებს თითეულ სხეულს, თუ მას სხვა არაფერი აკავებს, დაეცეს დედამიწაზე. რაც უფრო დიდია სხეული ე. ი. მისი მასა, მით უფრო ძლიერია მასზე მომქმედი სიმძიმის ძალა. თუ წარმოვიდგენთ ისეთ სივრცეს, სადაც ჰაერი არ იქნება, იქ ყველა სხეულები ერთნაირი სიჩქარით ეცემიან ძირს. თუ სხეული ეცემა ძირს ჰაერიან სივრცეში, მასზე სიმძ მის ძალის გარდა მოქმედებს აგრეთვე შებრუნებულად ჰაერის წინააღმდეგობა. ე. ი. სიმძიმის ძალის ხიძლიერეს ცოტა ანელებს ჰაერის წინააღმდეგობა. ამიტომ სხეულები ჰაერიან სივრცეში უფრო ნელა მოძრაობენ, ვინემ უჰაერო სივრცეში. ჩვეულებრივი სხეულებისათვის სიმძიმის ძალა ყოველთვის უფრო დიდია, ვინემ მასზე გაწეული ჰაერის წინააღმდეგობა. მაგრამ შეიძლება წამოიჭრას საკითხი: არსებობს თუ არა ისეთი მიზეზები, რომ ჰაერის წინააღმდეგობა იმდენად დიდი იქნეს, რომ შეუძლებელი გახდეს სხეულის ძირს დაცემა— წინააღმდეგობა გაუწიოს მის სიმძიმის ძალას?

როგორც ნახსენები იყო სხეულის სიმძიმის ძალა დამოკიდებულია სხეულის სიდიდეზე— მასაზე ანუ სიმკვრივეზე, როგორც იტყვიან. მაშასადამე ერთნაირი მასის სხეულები თუ ისინი განსხვავდებიან თავისი მოცულობით სხვა და სხვა სიჩქარით იმოძრავებენ. რაც უფრო დიდი იქნება სხეულის ზედაპირი მით უფრო დიდ წინააღმდეგობას გაუწევს მას ჰაერი. მაშასადამე რაც უფრო დიდი ზედაპირის მქონი იქნება სხეული და რაც მეტი მოძრაობის სიჩქარე ექნება მას, მით უფრო დიდი იქნება მისადმი ჰაერის მიერ გაწეული წინააღმდეგობა.

(გაგრძელება შემდეგ).

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. მე გამიწვიეს 1924 წ. შემოდგომაზე, ჩემი ძმა კი 1925 წ. მაისში. ჩვენი ოჯახი დარჩა უპატრონოთ. სარჩენი გვყავს ოთხი სული. შეიძლება თუ არა ჩემი ძმის ტერნაწილში გადარიცხვა ცვალებადათ?

პასუხი. ამის შესახებ ლეგთავმა უნდა აღძრას შუამდგომლობა არმიის წინაშე.

კითხვა. ზემდეგს ეკუთვნის თუ არა მორიგე ზემდეგათ გასვლა.

ი. ხ.

პასუხი. ეკუთვნის.

კითხვა. ვარ უფროსი მჭედელი. სამსახურის გათავების შემდეგ რომ დავრჩე ზედმეტ მსახურათ ჯამაგირი რა მექნება?

გაფრინდაშვილი.

პასუხი. მოგეცემათ შტატით დადებული ჯამაგირი.

კითხვა. წ. ა., რომლებიც უნდა წასულიყვნენ უვადო შვებულებაში, მაგრამ დარჩენ ნაწილში უმცროს მეთაურებათ, ჩაეთვლებათ თუ არა მათ საკუთრებათ ის ტანისამოსი, რომლებიც უნდა წაეღოთ სახლში?

ა.

პასუხი. საკუთრებათ არ ჩაგეთვლებათ, ვინაიდან უმცროს მეთაურები ტანისამოსს ღებულობენ ისე, როგორც წ. არმიელები.

კითხვა. გამანთავისუფლეს 1925 წ. 23 სექტემბერში. დავრჩი უმცროს მეთაურად. ჯამაგირი მეკუთვნის თუ არა?

ჭალისხეველი.

პასუხი. გეკუთვნით ოქტომბრიდან. მიმართეთ ლეგთავის თანაშემწეს სამნეო დარგში.

კითხვა. შარშან მომცეს მე-2 ხარისხის მაზარა, დახეული, ვატარე მთელი ზამთარი, გაზაფხულზე ჩავაბარე. მეკუთვნის თუ არა მაზარა?

კაპანაძე.

პასუხი. გეკუთვნით.

კითხვა. ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში. როდის გამანთავისუფლებენ?

ბ—ძე.

პასუხი. პირველ დეკემბრამდე უნდა გაგანთავისუფლონ.

კითხვა. წ. არმიელს რამდენი ხნის შემდეგ ერგება მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა?

—ძე.

პასუხი. ერთი წლის სამსახურის შესრულების შემდეგ.

კითხვა. საშუალო სასწავლებლებ დამთავრებულ წ. ა., რომლებსაც ჩაბარებული აქვთ გამოცდები, გამოვლენ თუ არა ყოველ წლიურად ცვალებად შემადგენლობასთან ერთად?

წ. არ. ბ.

პასუხი. თუ მეთაურებათ იქნებით მიწერილი ნაწილზე, მაშინ გამოგიწვევენ ტერშეკრების დროს.

კითხვა. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ ვის უნდა მივმართო სამსახურისთვის?

ბარამ.

პასუხი. უნდა მიმართოდ იმ დაწესებულებას, სადაც თავისუფალი ადგილი იქნება და თქვენ როგორც წ. ა. პირველ რიგში უნდა მოგცენ სამსახური.

კითხვა. სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ მინდა შევიდე რკ. გზის მთავარ სახელოსნოში. ვის უნდა მივმართო?

ბაინდურაძე.

პასუხი. უნდა მიმართოდ მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციას, და თუ თავისუფალი ადგილი არის, უნდა მიგიღონ პირველ რიგში როგორც წ. არმიელი.

კითხვა. ლეგიონებში არსებულ საპარიკმახეროებს ლეგქსენონმა უნდა მისცეს თუ არა სადეზინფექციო მასალა?

ქ.

პასუხი. აუცილებლად უნდა მისცეს.

კითხვა. მინდა შესვლა მუშფაკში. ვის უნდა მივმართო?

ზ—ლი.

პასუხი. მიმართეთ მუშფაკის ადმინისტრაციას ახსნა-განმარტებისათვის.

კითხვა. შემიძლია თუ არა საბუღალტრო კურსებზე ვიარო?

წ. ა. მ—ძე.

პასუხი. შეგიძლიათ უფროსის ნებართვით.

კითხვა. შემიძლია თუ არა სამილიციო კურსებზე სიარული?

წ. ა. გ—რე.

პასუხი. შეგიძლიათ უფროსის ნებართვით და თუ ეს არ ავნებს სამსახურს.

**შეცდომის გასწორება:** ჩვენი გაზეთის № 238-ში ამხ. კუტუბიძის შეკითხვაში სწერია: ვარ გამოწვეული, 1924 წ. უნდა იყოს 1925 წ.

# უცხო სიტყვათა ახსნა

**პარლამენტი**—საკანონმდებლო დაწესებულება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც საყოველთაო არჩევნებით ირჩევენ თავიანთ დეპუტატებს.

**ფრაქცია**—ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლების კავშირი პარლამენტში ან სხვა დაწესებულებაში.

**დეზინფექცია**—წამლით გაწმენდა ბინისა ან სხვა რაიმესი.

**სპეციალური**—განსაკუთრებული.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. სიმართლის მთქმელს. (1-ლი ლეგ.) კორესპონდენცია „მოგვაშორეთ ასეთი ელემენტი“, გაუშვით ადგილობრივ კედლის გაზეთში.

ამხ. ამხ. ჩ—ძეს და რ. ქორს (მეთაურთა სკოლა) თქვენი წერილები: „მეთაურთა სკოლა“ არ დაიბეჭდება. ასეთები მოთავსდა ჩვენს გაზეთში.

ამხ. ამხ. გურულს (მე 6 ლეგ. სკოლა) და ძირულელს (1-ლი არტლეგ.) თქვენი კორესპონდენციები „საკლუბო მუშაობის მიმდინარეობა“ და „ჩვენი ბიბლიოთეკა“ არ დაიბეჭდება.

ამხ. მუხლს (ტერ-სამმართველო) წერილი „მოგვეცით ტანისამოსი“ არ გავა. ტანისამოსი მოგეცემათ თავის დროზე.

ამხ. ებანოიძეს თქვენი წერილი „დროა გამოსწორდეს“ არ გამოდგება ჩვენს გაზეთში.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.